



**იურიისტების სამყარო**

**ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი**

## **საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემები**

- **ვასუხისმგებლობა კერძო კომუნიკაციების  
საიდუმლოების დარღვევისა და სატელეფონო  
საუბრების უკანონო მოსმენისათვის  
საქართველოსა და საზღვარგარეთის  
ქვეყნებში**
- **გადანახადებისაგან თავის არიდების  
ვასუხისმგებლობის თავისებურებები  
საქართველოსა და საზღვარგარეთის  
ქვეყნებში**
- **სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური  
პრობლემები საქართველოსა და  
საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებში**

**თბილისი, 2014**

**გამომცემლობა „იურიისტების სამყარო“**



წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომების კრებული ავტორების, პროფესორების მიხეილ მამნიაშვილისა და ირაკლი გაბისონიას, ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია.

ავტორები შეეცადნენ წარმოეჩინათ საჯარო სამართლის ის პრობლემური საკითხები, რომლებიც დღეისათვის უაღრესად აქტუალურია და შედარებით სიახლეს წარმოადგენს ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში.

კომუნიკაციებისა და უკანონო სატელეფონო მოსმენების პრობლემატიკა, რასაც მკითხველს ვთავაზობთ (სისხლისსამართლებრივი, საპროცესო სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტებით), ნაკლებადაა შესწავლილი, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში გადასახადისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებებზე არა თუ მონოგრაფიული ნაშრომი, პუბლიკაციაც კი არ მოგვეპოვება, არადა აღნიშნული საკითხების გაშუქება საინტერესოა არა მარტო იურისტებისათვის, არამედ ეკონომისტებისთვისაც. რაც შეეხება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცალკეული ინსტიტუტებისა თუ პროცედურული რეგულაციების მეცნიერულ კვლევას, დღეისათვის აქვს არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს), პრაქტიკის მუშაკებს და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, უკეთ ჩანვდნენ და ღრმად შეისწავლონ მასში გადმოცემული პრობლემური საკითხები.

**რედაქტორები:** სამართლის დოქტორი,  
პროფესორი ქეთი ჯინჭარაძე

სამართლის დოქტორი,  
პროფესორი მარი ჯიქია

**რეცენზენტი:** სამართლის დოქტორი,  
პროფესორი ირინა აქუბარდია

© ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, 2014

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2014



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: [Lawyers.world@yahoo.com](mailto:Lawyers.world@yahoo.com);

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

ISBN 978-9941-9355-5-8

## შინაარსი

|   |     |
|---|-----|
| პასუხისმგებლობა კერძო კომუნიკაციების<br>საიდუმლოების დარღვევისა და სატელეფონო<br>საუბრების უკანონო მოსმენისათვის საქართველოსა<br>და საზღვარგარეთის ქვეყნებში..... | 5   |
| შესავალი .....  | 5   |
| §1. პასუხისმგებლობა კერძო კომუნიკაციების<br>საიდუმლოების დარღვევისა და სატელეფონო<br>საუბრის უკანონო მოსმენისათვის .....  | 7   |
| § 2. კომპიუტერული დანაშაულის დახასიათება.....   | 22  |
| § 3. კერძო კომუნიკაციების სამართლებრივი ასპექტები<br>საზღვარგარეთის ქვეყნებში .....   | 28  |
| გამოყენებული ლიტერატურა .....   | 68  |
| ბადასახადებისაგან თავის არიდების<br>პასუხისმგებლობის თავისებურებაები<br>საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ..   | 70  |
| გამოყენებული ლიტერატურა: .....  | 122 |
| სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური<br>პრობლემები .....  | 123 |
| საქართველოსა და საზღვარგარეთის .....  | 123 |
| ცალკეულ ქვეყნებში.....  | 123 |
| შესავალი.....   | 123 |
| თავი I.....   | 127 |
| საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის<br>ზოგადი ნაწილის ცალკეული ასპექტები.....  | 127 |
| §1. სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების ცნება და<br>კლასიფიკაცია. პროცესუალური ფუნქციები .....   | 127 |
| § 2. გამომძიებლის სტატუსისა და<br>სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემატიკა .....  | 134 |
| §3. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა<br>დაცვის სპეციალური ღონისძიებები .....   | 153 |

|  |     |
|--|-----|
| თავი II .....  | 161 |
| საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის<br>კერძო ნაწილის ასპექტები .....                                    | 161 |
| §1 ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედებათა<br>ჩატარების შესახებ.....                                     | 161 |
| § 2. ფარული საგამოძიებო მოქმედებები თუ<br>ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა? .....                             | 172 |
| § 3. ჩხრეკა და ამოღება.....  | 190 |
| § 4. დათვალიერება.....   | 199 |
| § 5. საგამოძიებო ექსპერიმენტი.....   | 212 |
| § 6. სისხლის სამართლის პროცესის წარმოება<br>არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის,<br>მსჯავრდებულის მიმართ ..... | 223 |
| § 7. საპროცესო შეთანხმება .....  | 228 |
| თავი III. უცხოეთის ძვეყნების საპროცესო<br>კანონმდებლობის თავისებურებები .....                              | 247 |
| §1. უცხოეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის<br>ზოგადი დახასიათება.....                                 | 247 |
| §2. საზღვარგარეთის ცალკეული ძვეყნების<br>წინასასამართლო გამომძიების<br>ზოგადი დახასიათება .....            | 263 |
| §3. საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებში სასამართლო<br>განხილვის სტადიის ზოგადი დახასიათება .....              | 274 |
| გამოყენებული ლიტერატურა .....  | 282 |

**კანონმდებლობა კერძო კომუნიკაციების  
საიდუმლოების დარღვევისა და სატელეფონო  
საუბრების უკანონო მოსმენისათვის  
საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში**

**შესავალი**

საინფორმაციო ტექნოლოგიების, საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფმა განვითარებამ და საინფორმაციო დინების არსებითმა გაზრდამ იურიდიული მეცნიერების წინაშე დააყენა ახალი ამოცანები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისაკენ არის მიმართული. დღეისათვის საინფორმაციო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს სამართლის ის ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც ადგენენ მსოფლიოში საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფის სამართლებრივ რეგულირებას.

უახლოეს დრომდე უმეტესი ქვეყნის სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას ძირითადად აქცენტი გადაჰქონდა იმაზე, რომ დაეცვა პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებები და კანონიერი ინტერესები მხოლოდ მატერიალურ სამყაროში, ხოლო მას შემდეგ, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიები და საკომუნიკაციო საშუალებები სწრაფი ტემპით განვითარდა და ისინი გახდნენ ადამიანის ცხოვრებისა და საზოგადოების საქმიანობის, აგრეთვე სახელმწიფო მექანიზმების ნორმალური ფუნქციონირების შეუცვლელი შემადგენელი ნაწილები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინაშე დღის წესრიგში დადგა ამ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა. საინფორმაციო სფეროში ამ მეტად სოციალურად საშიშ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი თუ პროცედურული კანონმდებლობის შემუშავება და მათი შემდგომი სრულყოფა. კომპიუტერული ინფორმაციების, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა თუ სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენების უსაფრთხოების პრობლემა, მათ შორის სისხლისსა-

მართლებრივი საშუალებით, ძალზე აქტუალურია და მრავალი ქვეყნის წინაშე ძალზე მწვავედ დგას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია აღნიშნული სისტემების და ქსელების უკანონოდ გამოყენებაზე წარმოებასა და ბიზნესში, რადგანაც სხვადასხვა საინფორმაციო კომუნიკაციის უკანონო გამოყენების გამო, სახელმწიფო საწარმოები თუ ბიზნესმენები განიცდიან უდიდეს დანაკარგებს, რაც, ბუნებრივია, სახელმწიფო ეკონომიკურ სიძლიერესა და ადამიანთა ცხოვრების დონეზე უკიდურესად უარყოფითად აისახება, ამასთანავე კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევით თუ სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენებით უხეშად ირღვევა არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ადამიანის პირადი ცხოვრების თუ საქმიანობის კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

კომპიუტერული ინფორმაციის სფერო, როგორც საინფორმაციო სფეროს შემადგენელი ნაწილი, მრავალსაფეხურიანია და ზოგადად მოიცავს ურთიერთობებს, რომლებიც აღმოცენდება კომპიუტერული ინფორმაციის წარმოებასთან, შეგროვებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასთან, გადაცემასთან, გავრცელებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებით. მისი საფუძველია საინფორმაციო რესურსების ერთობლიობა, კომპიუტერული ინფორმაციის, კომპიუტერული ტექნოლოგიების და მოწყობილობების სახით, ასევე მათთან დაკავშირებული კომპიუტერული ინფრასტრუქტურა.

ამიტომაცაა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია უკანონო სატელეფონო მოსმენები და კომპიუტერული დანაშაულებები, რომელთა ქმედების შემადგენლობებს განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვთ მიცემული და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან.

უნდა ითქვას ისიც, რომ სამეცნიერო ნაშრომები ქართული იურიდიულ ლიტერატურაში ამ მიმართულებით უკიდურესად მწირია, ხოლო უცხოეთის ქვეყნებში კომუნიკაციის სფეროში დანაშაულთა დახასიათება არა თუ ნაშრომი, სამეცნიერო სტატიაც კი არ მოგვეპოვება.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად და გასაგებად წარმოჩინდეს განსახილველი თემის აქტუალობა, ამ დანაშაულთა სოცია-

ლურად საშიში ხასიათი, ალბათ, უმჯობესია თავდაპირველად განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომელიც ხელყოფს კერძო კომუნიკაციის საიდუმლოებას, უკანონო სატელეფონო მოსმენას და კიბერდანაშაულს, შემდგომ კი ამ მიმართულებით გადმოგცეთ უცხოეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა და განვიხილოთ ის თავისებურებები, რომლებიც მათ ახასიათებთ, ასევე შევეცხებით კრიმინოლოგიურ ასპექტში კიბერდანაშაულის პრევენციული ღონისძიებების ჩვენეულ ხედვას.

### **§1. პასუხისმგებლობა კერძო კომუნიკაციების საიდუმლოების დარღვევისა და სატელეფონო საუბრის უკანონო მოსმენისათვის**

ბოლო ხანს საქართველოში კერძო კომუნიკაციების საიდუმლოების დარღვევის და პირადი მიმონერის, განსაკუთრებით სატელეფონო საუბრების საიდუმლოების დაცვის პრობლემატიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და დღეისათვის უაღრესად აქტუალურ თემად გადაიქცა, ეს კი განაპირობა ტელევიზიითა და მასმედიის საშუალებით გავრცელებულმა ინფორმაციებმა იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს სატელეფონო საუბრები ტოტალურად ისმინებოდა, რამაც ბუნებრივია, საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება გამოიწვია. ნიშანდობლივია ისიც, რომ უახლოეს წარსულში ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ამ მოვლენას „სატელეფონო ტერორიც“<sup>1</sup> კი უწოდა.

რამდენად რეალურია ეს შეფასებები ჩვენთვის, ცნობილი არ არის და არც ჩვენი კვლევის ინტერესში არ შედის, მაგრამ ვფიქრობთ, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა და სატელეფონო საუბრის უკანონოდ მოსმენა ერთ-ერთ მიმეტებულად სოციალურად საშიშ დანაშაულს წარმოადგენს, რომლის ჩამდენი ხელყოფს მოქალაქეთათვის კონსტიტუციით გარანტირებულ ისეთ ღირებულს უფლებებს, როგორცაა კერძო საუბრის, პირადი მიმონერებისა და სატელეფონო საუბრების

<sup>1</sup> გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2005 წლის 2-8 მაისი, 18 (557), გვ. 17; გაზეთი „ახალი თაობა“, 2005 წლის 12 აპრილი, 100 (3396), გვ. 2,7.